**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


ტფილისის ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი საყოველთაოდ აცხადებს, რომ გვამს განსვენებულის **გრაფის მიხეილ ტარიელის ძის ლორის-მელიქოვისას** ჩამოასვენებენ ტფილისს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის საგანგებო მატარებელით, შაბათს, 7 თებერვალს, დილის 9 საათზე.

სამგლოვიარო პროცესია რკინის გზის სადგურიდგან ვანქის ტაძრამდე შემდეგის გზით გაივლის: ბულვარზედ, ელისაბედის ქუჩის ერთს ნაწილს, ბაღისას, მიხეილისას, მიხეილის ხიდზედ, მადათოვის ქუჩაზედ და ვანქისაზე.

ვსთხოვთ ბ-ნთ დეპუტატთ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა, მმართველობათა და საზოგადოებათა, რომელთაც მინდობილი აქვსთ პატივი სცენ განსვენებულს გრაფს და გვირგვინი მოიტანონ, მობრძანდნენ გვირგვინითურთ სამშაბათს, დილის 9 საათზედ, რკინის გზის სადგურზე.

რკინის გზის სადგურზე ნება აქვსთ დაესწრნენ განსვენებულის ნათესავთა, სამღვდელოებას, სამხედრო და სამოქალაქო წოდების მოხელეთ, ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთ, დეპუტაციათა წევრებს და მწერლობის წარმომადგენელთ.

(2—2)

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთ სთხოვენ მობრძანდნენ საზოგადოების მორიგს კრებაზე თებერვლის რვას, საღამოს 7 საათსა და ნახევარზე.

განსახილველი საგნები:

ა) მიმომდინარე საქმეები;

ბ) მოხსენება საზოგადოების ნამდვილის წევრისა, ბ-ნ ნ. ნ. შავროვისა, ამიერ-კავკასიის ზოგიერთ მცენარის შესახებ, რომელიც მრეწველობაში იხმარება;

გ) მოხსენება წევრის-კორრესპონდენტისა, ბ-ნ ფ. ფონ-კლიმანისა: ჩაის მცენარის გაშენების თაობაზე ამიერ-კავკასიაში.

კრებაზე შეუძლიანთ დაესწრნენ არაწევრთაცა.

ტფილისი, 6 თებერვალი

რამდენი ხანია, რაც ევროპა ჯარებსა და თოფ-იარაღს ამზადებს და ამისათვის არა ჰზოგავს არავითარს ხარჯსა და მეცადინეობას, არ უფრთხის არც ბეგარასა და არც ბაჟის მომატებას, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი დრტვინავს და აღმაცერად უყურებს სამხედრო პოლიტიკას. ზოგს სახელმწიფოში საქმე იმ ზომამდეა მისული, რომ ხალხს არ შეუძლიან ახალი ხარჯი იტვირთოს მხედრობისა და თოფ-იარაღისათვის. ამისდა მიუხედავად პოლიტიკოსები და დიპლომატები სცდილობენ მხედრობა გააძლიერონ და იმას-კი ყურს არ ათხოვებენ, რომ ერი წელში სწყდება და ულონოა მეტი ხარჯი იკისროს და ეს არის იმისი მიზეზი, რომ ხალხი, დაწინაურებული საზოგადოება და მწერლობა მუდამ ამასა სჩივის: ვაჭრობა და მრეწველობა თანდათან მცირდება და სუსტდება და სიღარიბემა და სიღატაკემ სული ერთიანად დააქვეითა და დასჩაგრა ერიო.

ეს საჩივარი რომ ყოვლად სამართლიანია, ამას ამტკიცებს იტალიის ეხლანდელი მდგომარეობა. ამის წინად რომში დიდი უწესოება მოხდა. მუშებმა, რომლებსაც არავითარი საქმე არა აქვსთ და ამიტომ ლუკმა-პურიც ვერ უშოვნიათ, დიდი არეულობა მოახდინეს. იმათ დაანგრიეს და გაცარცვეს რამდენიმე მაღაზია. საქმე იარაღამდე მივიდა, მრავალი კაცი დაჭრილია და ბევრიც დატუსაღებული. ზოგი ამ ამბავს პოლიციის მოუხერხებლობასა და უზრუნველობას აბრალებს, მაგრამ რა ჰქმნას პოლიციამ, როცა მთელი მუშა ხალხი ულუკმაპუროდ და უსაქმოდ ჰზის. იტალიის მეფე ჰუმბერტო მიხვდა, რომ ამ უწესოებისა და უსიამოვნების მიზეზი ერის ეკონომიურად დაქვეითებული მდგომარეობაა, და ამიტომ ჰუმბერტომ უბრძანა მთავრობას სამუშაო უშოვოს ხალხს და ამ ნაირად ცხოვრების სახსარი მიაწოდოს.

ამ გვარს საშიშარს ყოფაშია არა მარტო რომი, არამედ სხვა ქალაქებიც, სადაც მუშა ხალხი იმავ უნუგეშო მდგომარეობაშია.

იტალიის მართებლობას ესმის, რომ ამ საშიშარის მდგომარეობის მიზეზი ერის ეკონომიური დაქვეითებაა. კრისპიც კარგადა ჰგრძნობს, რომ სამხედრო პოლიტიკამ სული და გული შეუხუთა ერს და მთელი იტალია დაჰქსაქსა, მაგრამ ამ დამღუპველი პოლიტიკისათვის თავი ვერ დაუნებებია. კრისპის უთქვამს: იარაღის აყრა და მშვიდობიანობა სამღვთო სიტყვებია, მაგრამ ამ ჟამად უიარაღოდ მშვიდობიანობის დაცვა ყოვლად შეუძლებელია. განა შესაძლებელია იტალიამ იარაღი ხელიდგან დააგდოს, როცა სხვა სახელმწიფონი აუარებელს ხარჯს ანდომებენ თოფ-იარაღსა და ჯარებსაო!

აი, ასეთს ყოფაშია იტალია: ერთის მხრით შინაურის არეულობისა და უწესოების შიში აქვს, მეორეს მხრით ევროპის საშიშო და საეჭვო პოლიტიკისა. ამ გვარს ყოფაშივე არიან სხვა სახელმწიფონიც. რითი დასრულდება ეგეთი საშიშო მდგომარეობა, ძნელი სათქმელია. იტალიის მართებლობას მეტი შიში აქვს ევროპის პოლიტიკისა და, მიუხედავად იმისა, რომ ერი წელში გაწყვეტილია მეტისმეტის ხარჯისა და ბეგრისაგან, განზრახვა აქვს მხედრობის გასაძლიერებლად საადგილ-მამულო გადასახადი მოუმატოს და მარილის ბაჟი ასწიოს.

ა. ს—ი

ქართული თეატრი

სამშაბათს, 7 თებერვალს

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

ბ ე დ ნ ი ე რ ი დ ღ ე

კომედია 3 მოქმედ.

II

პირველი და მეორე მოქმედება კომედ.

**„ხანუმა“**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვისა, გაბუნია II-რე, ჩერქეზიშვილისა და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, აწყურელი, გამყრელიძე და სხვანი

III

დივერტისმენტი

ნ. გაბუნია იმღერებს თ. გრ. ორბელიანის ლექსს: „ჭმუნვის მახვილი“; ვ. აბაშიძე—კუპლეტებს; აწყურელი წაიკითხავს სცენებს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.

# ფელეტონი

## შენიშვნა ვენახების ავადმყოფობის თაობაზე.

მეურნეობა საყვარელი პირმშო შვილია ჩვენის დედამიწისა და ბუნება მეფურად აჯილდოებს ადამიანს თავისის მადლით, თუ იგი იმისს უცვალავს და მტკიცე კანონებს იძიებს, ითვისებს და მათ აღიარებს თავის ხელმძღვანელად ყველა წარმოებაში.

მაგრამ რა სასტიკადა სჯის ამასთანავე ეს სიყვარულით სავსე მშობელი იმას, ვინც იმისს პირმშოშვილის უხვ კალთას შეეფარება და თავისის უმეცრებით-კი, გინა სიხარბით ჰბედავს წინააღმდეგს: სცდილობს შეშალოს თავისის გაუხსნელის გონებით სიმტკიცე და შეუშლელობა ბუნების კანონებისა!..

მე რომ ვუყურებ იმ უკიდურ შეჭირვებას მევენახეთა და ვენახების პატრონებისას, რა შეჭირვებაშიაც ესენი დაყენებულ არიან ამ უკანასკნელ ოცისა და ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში ვაზის სხვა-და-სხვა სენის გავრცელების გამო, რომელმაც ლამის დედამიწის ზურგიდგან განაძევოს ეს მადლით შემოსილი მცენარე, ნება-უნებლიედ იღვიძებს ჩემში ფიქრი: ხომ არ ვარღვევთ ერთხელ და ერთხელ შემოღებულ წესით რომელსამე ბუნების კანონს, რომელიც ჩვენთვის პატივსაცემი და დაურღვეველი უნდა იყოს.

ეს ფიქრი იზრდება იმ დაბუნდულ სურათის წარმოდგენასთან ერთად, რომელიც გვიჩვენებს, რომ ვაზის მოყვანა და ღვინის კეთება იმოდენადვე ძველია, რამდენად ძველი და წყვდიადში განფანტულია თვით ისტორია კაცობრიობისა. ისტორიით ვიცით ხოლო, რომ 2350 წ. ქრისტ. დაბ. წინ პალესტინაში ნოემ პირველად ყურძენი დასწურა, 1600 წ. ქრის. დაბ. წინ ცეკროპსის დროს ვაზის მოშენება საბერძნეთში გადატანილ იქმნა და აქედგან შემდეგ დანაშთენ ევროპაში გავრცელებული. მაგრამ ამ უშველებელ ხნის განმავლობაში თიიონ ვაზს თავს რა გადაჰხედია, რაოდენად მისი მოშენება გავრცელებული ყოფილა, ანუ ადამიანს რა შეუნიშნავს ამ მცენარის შესახებ, ამაზე ისტორია არაფერს გვეუბნება.

ძველს მწერლებში მხოლოდ კოლუმელლა, ეს დიდი მცოდნე თავისის დროის მეურნეობისა, რომელიც ხშირად წინ იმძღვარებს კართაგენელ მწერლის „მაგოს“ სიტყვებს და მეურნეობის მამას უწოდებს, მიაქცევს ჩვენს ყურადღებას სხვათა შორის ერთს, ამ წუთში ჩვენთვის ძალიან საინტერესო, საგანს, რომ ვაზის დაბერებით ამოვარდნილს ვენახში არამცა და არამცა თუ წლიწადზე ადრე ისევ ვაზი არ უნდა გაშენდეს და მიწა ამ ხნის განმავლობაში სხვა მცენარეთა მოსაყვანად უნდა იხმარებოდესო.

ამას ზედ დავრთოთ, რომ ამ ჟამად თითქმის არავინ ასრულებს კოლუმელლას ნაანდერძევს და ძალიან ხშირად შევხვდებით ვენახებს, სადაც რამდენისამე ასის წლის განმავლობაში შეუფერხებლივ მარტო ვაზი შენდება. ამასთან მხედველობაში ვიქონიოთ ისიც, რომ ვაზის სხვა-და-სხვა მავნე პარაზიტები — ჩვენ ხსოვნაში მაინც — იწყებენ ვაზის განადგურებას იმ დროიდგან, როდესაც ვაზის მოშენება საფრანგეთში მეტად გახშირებულია და გაძლიერებული. რაკი ამ ორს გარემოებას სახეში ვიქონიებთ, არ შეიძლება კაცმა ეს არ იკითხოს: ნუ თუ ვაზის მოშენებისათვის არ არსებობს ის მიზეზი, რასაც მეურნეობაში „მიწის დაღალვას“, ანუ გაცვეთას უწოდებენ (утомленіе почвы). მეურნეთაგან მიღებულია, რომ ყოველი სამეურნეო მცენარე ჰღლის და სცვეთავს მიწასაო, თუ უცვლელად ერთსა და იმავე მიწაში მოჰყავთ რამდენსამე წელს, ზედი-ზედ. აბა ერთსა და იმავე მიწაზედ მოიყვანეთ რამდენსამე წელს ზედი-ზედ თუნდ, ვსთქვათ, ქერი, თუ იგი მიწა ქერისათვის სულ გამოწოვილ არ იქმნას სამერმისოდ. ამავე კანონს რატომ არ უნდა ექვემდებარებოდეს ვაზიცა? ვაზიც ხომ იგივე მცენარეა და ყოველი მცენარე ხომ უსათუოდ უნდა სწოვდეს მიწას და, მაშასადამე, ჰღლიდეს. რომ მიწა ერთმა და იმავე მცენარემ არ გამოსწოვოს, არ დაღალოს, საჭიროა ნაყოფთა შეცვლა. ესევე კანონი რატომ არ უნდა იყოს მარგებელი იმ მიწისათვისაც, რაზედაც მოშენებულია ვაზი? ამ სახით, თუ ვაზის საჭიროდაც და იმის ყველა ორგანების ბუნებისამებრ განვითარებისათვის აგრეთვე საჭიროა დრო-გამოშვებით ნაყოფთ-შეცვლა (плодосмѣнъ), ნუ თუ ეს საოცარი გახშირება ვაზისათვის მავნე პარაზიტებისა და მათი გაუფლება პირდაპირ არ უნდა მიეწეროს იმას, რომ ამ ნაყოფთ-შეცვლას უარ-ვყოფთ და დაღლილს მიწას უფრო ქანცს ვართმევთ. ამაზევე სწორე პასუხის მიცემა ისე ძნელი არ არის, როგორც პირველ შეხედვაზე გვეჩვენება.

ამისათვის საჭიროდ ვხედავ თავითვე განვიხილოთ, რაოდენად ნაყოფთ შეცვლა საზოგადოდ სამეურნეო წარმოებაში ბუნებურ მტკიცე კანონად მისაღებია და შემდეგ—რა შედეგი მოსდევს ამის დარღვევას.

„მეურნეობისა და ბალოსნობის უწინდელ დროთა მკვლევარებმა შეამჩნიესო,—ამბობს ცპეერი, გერმანელებისაგან ესრედ წოდებული მამა მეურნეობისა:—რომ მიწა უფრო მშვენიერსა და უხვს ნაყოფს იძლევა, უკეთუ არ მოვიყვანთ ერთსა და იმავე ნაყოფს ორჯელ ზედი-ზედ“. მართლაც-და, დიდის ხნის მეთვალ-ყურეობამ იმაზე, რაც ბუნებაში მოხდება ხოლმე, და აგრეთვე სამეურნეო ასპარეზზე მოულალავმა მოღვაწეობამაც ცხადად დაამტკიცა, რომ შეცვლა სხვა-და-სხვა გვარის მცენარის მოსავლისა ერთსა და იმავე მიწაზე შეადგენს უპირველესს მიზეზს უხვის მოსავლისას; გარდა იმისა, რომ იგი არის საშუალება, რომლის შემწეობით მიწის ნოყიერების ძალნი უფრო საჭიროდ ჰმოქმედებენ და თითქმის ხელ-ახლავ ძლიერდებიან.

ძველადვე იცოდნენ, რომ მიწა, შეუწყვეტელის მოყვანით ერთსა და იმავე მცენარისა ერთსა და იმავე ალაგას, შეიქმნება ადრე თუ გვიან ულონო ამ მცენარისათვის. თანვე ისიცა ჰქონდათ შემცნეული, რომ თუ მიწა ერთის რომელისამე მცენარისაგან მოიქანცა, გაცვდა და აჰკვეთა მოსავლის ძლევა, იმას შეუძლიან ჩინებულად მოიყვანოს სხვა მცენარე, მეტადრე თუ ეს მცენარე ეკუთვნის სხვა გვარს, და მოსავალი ამ უკანასკნელისა ხანდახან ისეთი უხვია ხოლმე, გეგონებათ პირველმა მცენარემ მიწა მოამზადა, გააძლიერა მეორე მცენარისათვისაო. თქმა არ უნდა, რომ უკეთუ ამ მეორე მცენარის რამდენისამე წლის მოყვანის შემდეგ დავუბრუნდებით პირველს მცენარეს, შევაცნევთ, რომ აღმოცენების ძალა მიწისა ამ მცენარის მიმართ უკვე საკმაოდ აღდგენილია და ამავე მიწას შეუძლიან ეს მცენარე ხელ-ახლად

## ახალი ამბავი

*** ამიერ-კავკასიაში უფრო თხლისა და ჭაჭის არაყის ხდაა გავრცელებული, მერე თუთისა და მერე ხილისა. პურის არაყის ხდას-კი ძალიან ნაკლებად მისდევენ. ჭაჭის არაყს უფრო განჯის გუბერნიაში ხდიან, მერე ერევნისაში და მერე ტფილისისაში. ქუთაისის გუბერნიაში-კი ამ არაყის ხდას მცირედ მისდევენ. მთელს იმერეთში სულ 10 ქარხანაა. სულ ამიერ-კავკასიაში-კი 1880 ქარხანა იყო 1887 წელს. იქ, საცა კარგი ღვინო მოდის და ბაზარიც აქვს ამ ღვინოს, ღვინოთვე იყიდება. ჭაჭასა და თხლესკი არაყად ხდიან. ხოლო საცა ღვინო მდარე მოდის და ბაზარშიაც უგზოობის გამო ვერ გადის გასასყიდად, იქ არაყსა ხდიან. არაყის ხდას დიდი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს ვენახების პატრონებს, უკეთუ დამაბრკოლებელი მიზეზი არა ექნება-რა. ყველა ვენახის პატრონი გულ-მოდგინედ შეიმუშავებს ვენახებს და ახალ ვენახსაც გააშენებს, რაკი ეცოდინება, რომ ღვინო ღვინოდ გავა და ჭაჭათხლე კიდევ ან არაყად გამოიხდება, ან კიდევ ღვინის მარილის გასაკეთებლად გაიყიდება. რაკი ასე სასარგებლო შეიქნება ვენახების მოვლა და გაშენება, მაშინ ვენახის პატრონს იმისი ღონეც მიეცემა, რომ უკეთ მოუაროს ვენახის მოსავალს, ღვინის კეთება უკეთ მოაწყოს და დაყენებაც უკეთესი შეიძლოს. ამიტომ საჭიროა, რომ არაყის ხდა თვით ვენახის პატრონების ხელში იყოს და არა ვაჭრებისა და ჩარჩების ხელში. აქამდე სამწუხაროდ ასე იყო, რომ ასს კაც არაყის მხდელში მხოლოდ ათი თუ იყო ვენახის პატრონი და ღვინის მომყვანი, დანარჩენები სულ ვაჭრები და ჩარჩები იყვნენ. 1887 წლიდამ-კი, როცა აქციზის წესი შეიცვალა, ვენახის პატრონებსაც გაუადვილდათ არაყის ხდა ღვინისა და თხლე-ჭაჭისაგან. მას უკან არაყის ხდამაც იმატა საზოგადოდ და ასს გამოხდილ თუნგშიაც 42 თუნგს თვით ვენახის პატრონები და ღვინის მომყვანნივე ხდიან. ჯერ ასეთი სიკეთე მოუტანა ქვეყანას 1887 წელს შემოღებულმა ცვლილებამ აქციზის წესდებისამ და ვნახოთ შემდეგ რა იქნება.

*** **სოფ. ამბროლაური** (რაჭაშია): სოფლის მასწავლებელი, ბ-ნი ტ. გაჩეჩილაძე, გულითადს მადლობას უცხადებს მისდამი რწმუნებულის სკოლის მზრუნველს, ბ-ნს ნიკოლოოზ ბუჭას ძეს კუმბლაშვილს, რომელიც, მას შემდეგ, რაც ამ სკოლის მზრუნველობა უკისრნია, წელიწადში თითო თუმანს სწირავს სკოლას.

*** **თელავი**: იანვრის 31-ის ღამეს თელავის ახალგაზდა ჯარის-კაცმა ჩამოირჩო თავი ბაღში ლელვის ტოტზე. ლელვის ტოტი სულ ერთის ადლის სიმაღლეზეა დედამიწიდგან. ამ ტოტზე მოება ქამრის ერთი წვერი, ხოლო მეორე წვერი გამოემარყუშებინა ყელ-კისერზე და ჩაეჩოქა. რადგანაც ტოტის სიდაბლის გამო ჩაჩოქებითაც თავის დარჩობა შეუძლებელი აღმოჩენილა, ამისათვის დაჰბღაუჭებია ძირს ლელვის ფესვს ორივე ხელებით, დაუწევია თავი ძირს და ასე ამ გვარად გამოსთხოვებია ამ უბედურს წუთი-სოფელს.

ბევრს მნახველს არა სჯერა ამ გვარად ადამიანის თავის გამეტება, მეტადრე მაშინ, როცა ხსნა ისევ მის ხელთ არის: სული ტკბილია. როცა შეწუხდებოდა, უთუოდ აიზევდა თავს მაღლა და გადარჩებოდაო. ალბად ვიღაცაებს დაურჩვიათ და შემდეგ ჩამოუკიდნიათო.

ზოგი იმასაც ამბობს, ვითომ იგი იყო ძლიერ მდიდარის ოჯახის შვილი და ამასთან თავისუფლად და ნებივრად აღზრდილიო. როცა მოვიდა აქ (სულ ერთი თვეა, რაც მოვიდა), ვერ აიტანა ჯარის-კაცის ცხოვრება და თავი დაირჩოვო.

*** **იქიდამვე**: ქურდობა თანდათან ხშირდება ჩვენს თელავში. ერთი კვირა არ არის მას აქეთ, რაც მაზრის მარშალს რევაზ ვახვახიშვილს მოჰპარეს დიდ-ძალი ინდოური და ქათამი; კნეინა ალ. ვახვახიშვილისას მოჰპარეს ბატები. აგრეთვე გაჰქურდეს მასწავლებელი სიმონოვი, მღვდელი ბიბილაური და სხვანი.

საჭიროა სასტიკი ყურადღება მიაქციონ, ვისიც ჯერ არს, ამ ქურდ-ბაცაცებს, თორემ თქვენი მტერი ჩვენი საქმე იქნება, მეტადრე თუ ისე მოიქცნენ ქურდები, როგორც 22 იანვრის ღამეს მოიქცნენ, როდესაც ასასებმა ქურდები დაიჭირეს და მიიყვანეს, სადაც ჯერ იყო. აქ ასასებს უთხრეს. „ამაღამ მაგათთვის ბინა არა გვაქვს, გაუშვით და მერე დაიჭირეთ და მოიყვანეთო.“

*** **დ. ყვირილა** (შორაპნის მაზრა): ყვირილის აღმოსავლეთით ხუთის ვერსის მანძილზე არის ძველი ციხე, რომელსაც უწოდებენ შორაპნის ციხეს. ამ ციხის მახლობლად მოხდა ერთი საზარელი შემთხვევა. ოთხს ამ თვისას დილით ადრიანად ნახეს გვამი ერთის საბრალო იმერლისა, ესტატე თურმანიძისა. განსვენებული წინა დღით ყოფილიყო დ. ყვირილაში და ღვინოები ჩამოეტანა. მასვე ხლებოდა სიმამრი, გვარად ზიბზიბაზე, და მონათესავეები. ამათ თურმე შეაგვიანდათ დ. ყვირილაში, საიდგანაც გამგზავრებულიყვნენ შორაპნის ციხისაკენ. მისულა თუ არა ეს საბრალო სოფ. სალეინეში, მოსვლიათ რაღაცა ლაპარაკი, რომელიც დაბოლოვებულა საცოდავის ესტატე თურმანიძის სიკვდილით. საბრალო იმდენს სისხლისაგან დაწრეტილი და პირქვე დამხობილი დარჩა გარეთ. მეორე დღეს-კი ნახეს მიმავალმა მგზავრებმა. მნახველებს გაუგზავნიათ ეს ამბავი სოფლის მოხელეებისათვის. საბრალო თურმე ექვსის თვის დაქორწილებული ყოფილა. ამაზედ იქმნენ მიწვეულნი დ. ყვირილიდგან გამომძიებელი უფ. ჩაჩიბაია და პოლიციის ბოქაული ბ-ნი ქავთარაძე, რომლებიც ოთხსავე თებერვალს შეუდგნენ გამოძიებას. სამი ახლო მონათესავე განსვენებულისა კიდეც დაატუსაღეს, ეჭვი იმათზე მიიტანეს, რადგანაც მათ ურთიერთ შორის წინადაც ჰქონიათ მტრობა და განხეთქილება. აგრეთვე დატუსაღებულია ორი კაცი, რომლებიც ხუთ გზით გადასახლებლად გაუმზადებია შორაპნის საზოგადოებას ცუდის ყოფა-ქცევისათვის, მაგრამ საზოგადოების განაჩენი შეწყნარებულ არა ყოფილა. საბრალო დაკლულია ხანჯლით და სხეულზედაცა აქვს ხუთამდე ჭრილობა.

---

### წერილი გურიიდგან

(გურულების ყოფა-ცხოვრება)

I

სოლომონ ბრძენზედ ერთი ზღაპარი დაცულა გურიაში: „როცა სოლომონ ბრძენი გამეფდა, ასეთი ბრძანება გამოსცა მთელს თავის სამფლობელოში: „ვისაც უნდა ჭკუის სწავლა, ჩემთან მოვიდეს და მე ვასწავლიო“. სხვა მრავალთა შორის ერთი კაციც წავიდა ბრძენთან ჭკუის სასწავლებლად. მიდის ეს კაცი და გზად გაიარა ერთი დიდი მინდორი. გაიხედა ამ მინდორზედ და ნახა, რომ ერთს კავსახნისს ორი უღელი ხარი ება — ერთი წინ და მეორე უკან. ერთი უღელი ხარი რომ წინ ეწეოდა, მეორე უკან მიიწეოდა და ამიტომ სახნისი მუდამ ერთ ალაგას უძრავად ერჭო და მიწა არ იხვნებოდა. ჭკუის მაძიებელმა მგზავრმა გაიოცა ასეთი სისულელე იქვე მდგომის მხნელ კაცისა და ჰკითხა მიზეზი, თუ რისთვის აცდენ ამ ორ უღელ ხარს და თითონაც რად სცდებიო? ამაზედ გუთნის დედამ ასე უპასუხა: ეს ხარები და მეცა სოლომონ ბრძენისანი ვართ; იმან ასე ინება და მე თითონ არ ვიცი, რას მოასწავებს მეფის ასეთი განკარგულებაო. მგზავრი კიდევ უფრო გაჰკვირდა, როცა შეიტყო, რომ ეს სოლომონ ბრძენის საქმე არის და ეჭვი შეეპარა იმის შესახებ, როგორ თუ ასეთის სისულელის ჩამდენმა მეფემ ქვეყანას რამე ჭკუა ასწავლოსო. ეს ეჭვი არც ბრძენის კაცს დაუმალა და უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ მხნელმა ურჩია წასულიყო. ვინ იცისო, უთხრა მან: ღრმა და მახვილი ჭკუა სოლომონისა რას გეტყვის ამ საქმის შესახებაო! მგზავრს შეუბრუნდა გული და მოიწადინა იმ სულელის ნახვა, რომელსაც ქვეყანა ბრძნად სთვლიდა. გასწია და ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ერთს წისქვილს. შევიდა შიგ და ნახა, რომ ორი დიდი დოლაბი გამალებული მუშაობდა, სულ ფქვილის კორიანტელს აყენებდა და დღეში ასს ბათმანზე მეტს ჰფქვავდა თითო ქვა. მშვენივრად მოწყობილი იყო ყველაფრად ეს წისქვილი, ხოლო ერთი დიდი რამ აკლდა: არა ჰქონდა საფქვილე და ამიტომ ფქვილი სულ ერთიან წყალში ცვიოდა და იღუპებოდა. ამ საცოდაობის დანახვაზედ გული საშინლად ეტკინა მგზავრს და მეწისქვილეს წყენით უთხრა: შე ოჯახ-ქორო! ამდენი გიშრომნიათ, ასე მშვენივრად წისქვილი გაგიმართავთ და რა გაგიხდათ ერთი საფქვილის გაკეთებაო? მეწისქვილემ უპასუხა: ეს წისქვილი მთელის მოწყობილობითურთ სოლომონ ბრძენს ეკუთვნის და მეც იმისი მოჯამაგირე ვარ. მე კაი ჯამაგირს მაძლევს და რა მენაღვლება, ფქვილი დაიკარგება, თუ შეინახებაო. ჭკუის მაძიებელმა

---

ერთი ანუ რამდენიმე წელიწადი კარგად ამუშაოს.

შემდეგი მცირე მაგალითები უფრო ცხადად დაგვანახვებენ, ნაყოფთ-შეცვლას რაოდენად აქვს გავლენა მოსავალზე.

ნაიონჯარში, მაგალითად, ისევ იონჯა რო დასთესოთ, რაც გნებავთ მიწა კარგად შეიმუშავეთ, დახარჯეთ რამდენი ფულიც გნებავთ მიწის გასასუქებლად, კარგს იონჯას ველარ მოიყვანთ და თუნდაც ამოვიდეს იგი, ისევ მალე ჩაქრება. მაგიერ ამისა ნაიონჯარში პური რომ დასთესოთ, ისეთს უხვს მოსავალს მოგცემთ, რომ ღმერთს მადლობას შესწირავთ და თუ რვა-ცხრა წელიწადს გამოატარებთ და სხვა მცენარეების მოყვანის შემდეგ ისევ იონჯას დასთესთ, იგი ხელ ახლად 8—10 წ. ისევ კარგს მოსავალს მოგცემთ იონჯისას. ნაკართოფილარში ველარ დასთესთ ისევ კართოფილს, იმიტომ-რომ ძალიან მცირე მოსავალს მოგცემთ და თუ მაინც განიმეორებთ რამდენჯერმე შეუწყვეტლივ ამის მოყვანას, შემდეგ ვერა ღონის-ძიებით ველარ მოიყვანთ ამ ნაყოფს იმავ მიწაში, თუ რამდენმამე ხანმა არ გაწვლო. მაგიერ ამისა თუ დასთესთ ნაკართოფილარში, მაგალითად, ქერსა, იგი მშვენიერ მოსავალს მოგცემთ. თუ შეგიმცნევიათ, ჩვენი გლეხკაციც, თუ ძალიან გაჭირებული არ არის, თავის დღეში ნაყანობარში ისევ პურს არ დასთესავს; ნაყანობარს იგი დააგდებს ან ანეულად, ან არა-და, დასთესს სიმინდს, ქერს, შვრიას, ფეტვსა და შემდეგ ისევ პურსა.

ახლა ვნახოთ, ბუნება რას გვეუბნება ამის შესახებ. არსებობს თავისუფალი ნაყოფთ-შეცვლა ბუნებურ მცენარეობაშიაც, თუ არა? შესახებ ტყეებისა, რომელთაც ადამიანის ხელი არ მოხვედრიათ და სადაც მცენარეობა ადამიანზე გაცილებით მეტი ხანი სცოცხლებს, მართლა რო ძნელია ამისი დაჯეშმარიტებით თქმა, მაგრამ იქ, სადაც ადამიანის ხელი ჰხვდება და შეუწყალებლივ არღვევს ბუნების დიდ-მშვენიერს თანხმობას, იქ-კი დიდად გამორკვევით ეტყობა, რომ ბუნებურ მცენარეობაშიაც ჰმოქმედობს წესი ნაყოფთ-შეცვლისა. ამის დასამტკიცებელ საბუთად შემეძლო მომეყვანა არა ერთი გამოკვლევა ზოგიერთის სანდო კაცისა, მე რომ ამ წუთში არ ვამჯობინებდე მკითხველს განვუზიარო მარტო ის მცირედი, რაც მე თითონ ჩემის თვალით მინახავს და გამომიკვლევია ამის შესახებ.

ამ თხუთმეტ-თექვსმეტის წლის წინად გორის მაზრაში, საჯავახიანიშვილოს მთაში, სადაც ჩვენც მემამულენი გახლავართ, წაჰკიდებოდა ცეცხლი ერთს ტყის ნაწილს, შემოსილს განსაკუთრებით ფიჭვითა და ნაძვით, და გადამწვარიყო სრულიად. ათის წლის შემდეგ მქონდა ბედნიერი შემთხვევა დამენახა ეს ადგილები და გაკვირდი, რა ვნახე გადამწვარ ფიჭვისა და ნაძვის ალაგას მშვენიერი ნორჩი არყის ტევრი ატეხილი. ამ არყის ტევრში არ ერია არც ერთი ნაძვი, არ ერთი ფიჭვი. უწინდელი მცენარეობა სრულიად შეცვლილიყო. ხომ მოგეხსენებათ, ბუნებურ სათიბს ადგილებში კაცი არცა ჰხნავს, არც სთესავს, მაშასადამე, აქაც ბუნებური მცენარეობაა. მეორე მაგალითი. 1878 წლიდგან ხუთის წლის განმავლობაში, სრულიად სხვა აზრით, ძალიან ყურადღებით ვადევნებდი თვალს მცენარეობას ჩვენ ყორულში სოფ. ოსიაურს, ისევ გორის მაზრაში. ამ წელს დავთვალე 84 უფრო თვალ-საჩინო სხვადა-სხვა გვარის ბალახი. ამათ შორის უფრო მომეტებული კარგი ბალახები იყო, თუმცა საქონლისათვის ურგონიც ერივნენ მათ შორის. შემრგო ბალახთა შორის უმთავრესი ადგილი ეჭირა: კოლინდარს, შალაფას, თაგვის-ყანას, საგველას, ფშერია-ბალახას და აქა-იქ წითელ სამ-ყურასა. ძირის ბალახი მოფენილი იყო თეთრ ყვავილიან სამყურათი და ალავერდათი. მეორე წელიწადს ყველაზე მეტად ზემო ბალახებში უფრო გაძლიერებული იყო წითელი სამყურა; კოლინდარი და სხვა წვრილ-ღეროიანი ბალახები შემცირებულიყვნენ და ზემოდ აღნიშნულ რიცხვს დაჰკლებოდა 10 ბალახი. მესამე წელიწადს კოლინდარი აღარ იყო და მეტი ადგილი ეჭირა წითელ სამყურას. მეოთხე წელიწადს მთელს სათიბში მოდებული იყო კვარკვადიტა და იმისი მგზავსი ბარდიანი ბალახები; წითელი სამყურა იპოვებოდა მხოლოდ აქა-იქა, ჯგუფ ჯგუფად. ამ წელს აკლდა 18 ბალახი პირველ წელს დანიშნულთაგან. მეხუთე წელიწადს გამოჩნდა ისევ კოლინდარი და ამასთან მოჰყვნენ ზოგიერთი ახალი ბალახები, რომელნიც პირველ წელიწადში არ იყვნენ შემცნეულნი. ამ მაგალითიდგან სჩანს, რომ ბუნებურს სათიბშიაც მცენარეობა ყოველ წლივ ერთი და იგივე არა რჩება, მაშასადამე, აქაც ჰმოქმედებს წესი ნაყოფთ - შეცვლისა. თუ მკითხველსა ჰსურს თავისის თვალით დარწმუნდეს ბუნებურ მცენარეობაში ნაყოფთ-შეცვლის მოქმედებაზე, ეურჩევ სახნავი მიწა დააგდოს რამდენიმე წელიწადი შეუმუშავებელი. მაშინ აშკარად დაინახავს, რა სიძლიერით იწყობს ბუნება როთულს მოქმედებას იმის აღსადგენად, რაც მას გამოსწოვეს; დაინახავს, რა საოცარის სიცხადით ყოველ წლივ ერთი მცენარეობა შესცვლის მეორესა: პირველის წლის ბალახ-ბულახები, ეკლები, ყაყაჩო, სოსანი და მებრე სხვა მეორე წელს შეიცვლებიან უფრო ნაზ ბალახებად და იმ ზომით, რა ზომითაც მიწა გაკორდებაზე მიდგება, ნაზს ბალახებს უფრო მსხვილი ბალახები შესცვლიან და შემდეგ მხოლოდ კორდის ბალახებს-ღა იპოვით იმ მიწაზე.

ყველა ზემო ნათქვამიდგან სჩანს, რომ წესი ნაყოფთ-შეცვლისა ბუნებური კანონია, რომლის სიმტკიცე და შეურყევლობა უთუოდ უნდა გვწამდეს, და ყოველ სამეურნეო წარმოებაში, რა გვარიც გინდა იყოს და რა გვარ მცენარეობასაც შეეხებოდეს, ეს მტკიცე კანონი უთუოდ ყოველ ჟამს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ.

უკეთუ ყველაფერს ვიგულისხმებთ, რაც-კი ამ ჟამად უწყებულის საგნის შესახებ მეცნიერებას გამოუკვლევია და ჭეშმარიტებად ულიარებია, შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ ნაყოფთ-შეცვლის უარ-ყოფას სამეურნეო წარმოებაში მუდმივ თან მოზდევს მიწის დაღალვა, მოქანცვა, ე. ი. მიწის სრული უნაყოფობა, განსაკუთრებით იმ მცენარისათვის, რომლის შეუწყვეტელ მოყვანას ვანაცვალებთ მიწის ამ ბუნებურ მოთხოვნილებას. თანაც მოზდევს ყველა ის უბედურება, რაიცა წარმოსდგება ჭია-ღუისა და პარაზიტების აუარებელ სიმრავლისაგან, ეს ჭია-ღუები და პარაზიტები ეხვევა დაღალულ მიწის მცენარეს და ანადგურებს. ამისი მაგალითი ბევრი უნახავს იმას, ვისაც დაუქნია და ერთი და იგივე მცენარე ერთსა და იმავე მიწაზე ზედი-ზედ მოუყვანია.

(შემდეგი იქნება)

სრულიად დაჰკარგა იმედი ჭკუის შეძენისა და იფიქრა, რომ მე ათასჯერ მაინც უფრო ჭკვიანი უნდა ვიყო სოლომონზეო. მაგრამ ამ „სულელის" ნახვა მაინც უნდოდა და გზას გაუდგა. მივიდა თვით მეფის სასახლეში. შეიყვანეს ერთს დიდს დარბაზში. იქ იატაკზედ ნახა მოგროვილი დიდ-ძალი პურის ხორბალი, რომელსაც თავს ადგა ოთხი ოფლში გაწურული მუშა ნიჩბებით ხელში. აიღებდნენ ხოლმე ნიჩბებით ხორბალს და შეაყრიან კედელს. ხორბალი, რასაკვირველია, კედლიდამ ისევ ძირს ცვივოდა და ზედ არაფერი მაგრდებოდა. ამ მუშებისაგან მგზავრმა შეიტყო, რომ ისინი სოლომონ ბრძენის დაქირავებულნი არიან და ეს ხორბალიც სოლომონისა არის. ნახულის შემდეგ ეს სისულელეც აღარ გაჰკვირვებია, მხოლოდ ბრძენის ნახვის სურვილი-კი უფრო გაუცხოველდა. ამ დროს სოლომონიც გამობრძანდა და სტუმარსა ჰკითხა: რად მოსულხარო? იმანაც მოახსენა: თქვენის ბრძანებისამებრ თქვენთან ჭკუის სასწავლად გიახელ, მაგრამ ისეთი რამ ვნახე თქვენის განკარგულების ნაყოფი, რომ რაც ჭკუა მქონდა, ისიც-კი დავკარგე, არამც თუ კიდევ შევიძინო.—მეც ასე მგონიაო, უბრძანა ბრძენმა: შენ ჩემგან ბევრს ვერას შეიძენ, თუ შენვე ვერ მიმხვდარხარ, რას ჰნიშნავს შენ მიერ ნახული სამი ჭკუის სასწავლი. მაგრა მე მაინც ჩემს მოვალეობას შევასრულებ და აგიხსნიო.

მეფემ დაიწყო:

— როდესაც ორი კაცი ერთმანეთს სამტროდ გამოუდგება, ერთმანეთის ჯინზედ საქმეს იწყებენ და ათავებენ, ან როდესაც ერთის ოჯახის, ან ერთის ქვეყნის შვილები ერთმანეთში თანხმობას ვერ დაამყარებენ, ერთი მარჯვნივ სწევს საქმეს და მეორე მარცხნივ, აი იმათი საქმე ისე უქმად და უძრავად ეგდება გაუკეთებელი, როგორც შენ მიერ ნახულ ორის უღელ ხარისა, რომელიც ტყუილად სცდება და არაფერს ჰხნავსო.

მსმენელს გული გაუკეთდა.

— „მარტო წარამარა, წალმა-უკულმა ტრიალი და ჯაფა ვერას გაარიგებს, თუ მშრომელმა არ იცის თავი და ბოლო საქმისა, თუ არა აქვს გამოხაზული და გამოანგარიშებული საქმის გული. ერთის სიტყვით, თუ კაცმა საქმის თავი და ბოლო არ იცის, მისი ყველა ნაშრომი და ნაღვაწი წყალში ჩაცვივა ისე უსარგებლოდ, როგორც შენ მიერ ნახულს დოლაბებს ფქვილი წყალში მიუცვივა.

„თუ კაცს თავში უქრის, ჭკუა თხელი აქვს და საქმის დაკვირვება ეზარება, იმას რამდენიც უნდა სიკეთე დააყარო თავზედ, იმისთვის ყველა ეს გამოუსადეგარი იქმნება და ვერც ერთს ვერ შეირჩენს და ვერ შეინახავს, როგორც კედელი ხორბალსაო, და ბრძენმა გაათავა.

სტუმარმა სთქვა თავისს გულში: აი სწორედ ესა ყოფილა ნამდვილი ბრძენიო! და წამოვიდა შინ მეტად დაფიქრებული.

ასეთი ჭკუის სასწავლია ეს ზღაპარი, რომელიც ჩვენში დატრიალებს, და ხალხი-კი, თითქო განგებ, ამ ზღაპრის წინააღმდეგ ჰმოქმედობს. ჩვენში ვერ შეხვდებით ვერც საზოგადო და ვერც კერძო საოჯახო საქმეში ორს კაცს, საქმის სიყვარულით ერთ-ნაირად გულ-გამთბართა და შეკავშირებულთ, ვერა ჰნახავთ იმ სანატრელსა და სას ამოვნო მოვლენას, რომ ერთს კეთილს გზაზედ დამდგარს ადამიანს მეორე ზურგს უმაგრებდეს და შეერთებულის ძალით ებრძოდნენ ქვეყნის საერთო სენს. პირ-იქით, თავიანთის მიუყოლობითა და შურიანობით ერთი ალთასა სწევს საქმის ბაწარსა და მეორე ბალთას, ერთი ალმა მიდის და მეორე დალმა მოათრევს პირველს. ამიტომ ყოველი ჩვენი საქმე მუდამ ერთს ალაგას არის გაუკეთებელი და წინ ვერა სდგამს ბიჯს, როგორც ზღაპრის სახნისი. კიდევ კარგი იქმნებოდა, რომ გაჩერებული იყოს და თანდათან უკან არ მიდიოდეს.

გურიაში წარა-მარა მოძრაობა, ფართი-ფურთობა და წანწალი შეუწყვეტელია. მუდამ საქმეში არიან გართულნი აქაურები, სიზარმაცესა და წელ-მოწყვეტილობას ამათ ვერ დასწამებთ, მაგრამ ყოველივე ესე საქმის ცოდნით გამოწვეული არ არის და ამიტომ სულ აწეწილი და დაულაგებელი გვაქვს ოჯახიცა და საზოგადოებაცა. რადგანაც საქმისთვის თავი ვერ მიგვიდგამს, დღეის გასაკეთებელს ხვალ ვაკეთებთ, დღეს აშენებულს ხვალ ისევ ვშლით და ვაქცევთ, დღეს გამოჭრილსა და დაშლილს ხვალ ისევ ვამთელებთ და ვკერავთ და ამიტომ ჩვენის ხალხის შრომა თითქმის წყლის ნაყვა გამოდის. აი მაგალითიცა: ავიღოთ, თუ გნებავსთ, გზები. ამ წელს რომ გზები ერთის პლანით ერთ ალაგას გაიყვანეს, გაისად სულ სხვა ადგილას გადააქეთ, მერე კიდევ სხვაგან და ამ რიგად დაკიბულია მთელი გურია და გზები-კი არსად ხეირიანი არ არის. ამდენი შრომა რომ ერთს დანიშნულს გზას მოანდომონ, მგონი, საკუთარი რკინის გზაც გვექნებოდა და არა ეხლანდელი ტლაპო გზები. გზების შესაკეთებლად როცა გამოდის სოფელი, გზაზე ანწლსა და წალიკას სჭრიან და მთელ კვირაობით ამ უსარგებლო საქმეზედ სცდებიან. სახლს რომ ახლა ამ ალაგას ააშენებს გურული, გაისად მეორე ალაგს გადაიტანს, მერე კიდე აუმიზეზდება ამ სამოსახლოსაც უქმურიანი (ეშმაკეული) და სხვაგან გადიტანს. სულ ასე დაათრევს კატის კნუტივით. ეს არის ნამდვილი სურათი გურულის ცხოვრებისა.

ეს გარემოება არის მიზეზი, რომ ჩვენს ხალხს სიკეთის შეძენა უძნელდება და რომ შეიძინოს კიდეც შემთხვევით, იმისი მოვლა არ იცის, არ უმაგრდება სიმდიდრე ხელში, როგორც კედელს ხორბალი. მთლად გურულების ძალ-ღონეს ინდომებს და აქარწყლებს ეს უთავ-ბოლობა და რაღა საკვირველი იქმნება, რომ საკეთილო და საბედნიერო საქმისათვის, იმ საქმისათვის, რასაც შეუძლიან წინ წასწიოს ქვეყანა, განაკარგოს ადამიანის ბუნება, აღარ გვრჩებოდეს არც დრო და არც შეძლება? თითოეული კაცი ჩვენში ცალკე ინტერესების მიმდევარია, ორსა და სამსაც-კი საზიარო ერთმანეთ შორის არაფერი უნდათ იქონიონ. შემდეგში ვეცდებით მკითხველს უფრო დაწვრილებით გავაცნოთ ჩვენი ცხოვრება.

ის. რ—შვილი

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მინაწერები დავით გარესჯის უდაბნოს ტყავზედ ნაწერის ხელ-ნაწერებისა

(შემდეგი*)

№ 10. „საწელიწადო საწინასწარმეტყველო". ბოლოს აწერია:

*) იხ. „ივერია" № 26.

ა) „დიდება ღმერთსა სამებით დიდებულსა! დაესრულა საწელიწადოჲ საწინასწარმეტყველოჲ წესსა ზედა ბერძულსა, ახალ თარგმნილი წმინდისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმიდელისა, სრული ყოვლითურთ და უნაკლულო. მე სულითა საწყალობელმან გენატი დავწერე წმიდა ესე წიგნი საწინასწარმეტყველო დიდებულისა ლაშარისა შატბერდისათვის, სალოცველად ღმრთივ გჳრგჳნოსანთა მეფეთა ჩუენთა გიორგი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა. საუკუნომცა არს კეთილი სახსენებელი მეფობისა მათისა! და კუალად სალოცველად ძმათა ჩემთა—იოანე ჭყონდიდელ მთავარ-ეპისკოპოზისა და სინგელოზისა, პეტრე ვესტისა და მწიგნობართა უხუცესისა. და ჩემ ცოდვილისაცა ეგნატისთჳს ლოცვა ყავთ. ღმერთმან დაგაჯეროს. ქრონიკონი იყო ტ.·. და ე.·.—ტე=1085 წ. დაიწერა კელითა მოსე ხუცისა ხანცოლისა".

ამ წარწერაზე უკეთესი საბუთი არა მგონია ეპოებოდეს დავით III აღმაშენებლის გამეფებას: გიორგი მეფემ დაუტევა ტახტი მეფობისა სიცოცხლითვე და გადასცა თავისს შვილს დავით III-ს აღმაშენებელს 1084 წ. და სიკვდილამდე დავითთან ერთად ისევ მეფედ იხსენებოდა გარდაცვალებამდე (1089 წ.). წამოდგებიან და აიხირებენ პატკანოვები—„ქართლის ცხოვრება" ზღაპარიაო!

გენატი წარჩინებული პირია—ჭყონდიდელ მთავარ ეპისკოპოზს იოანეს და პეტრე ვესტის ძმად იხსენიებს.

წიგნი არის 38 რვეული, რვეულში 16 გვ.

№ 17. „სტოდიერი" დიდი, ტყავზედ ნაწერი.

ა) „ღმერთო და ყოველნო მისნო წმიდანო და შობაო, ნათლისღებაო და ხარებაო, აღდგომაო, ამაღლებაო, ფერისცვალებაო, სულის-წმინდის მოსვლაო-უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესო შეიწყალენ ორსავე შინა ცხოვრებასა დიასამიძის ასული ანა და ძენი მისნი—ივანე, გედეონ, გულბად; აღღეგრძელე მოწყალეო ღმერთო და ძე-ასულნი.... შეიწყალე კაკასისძე.... ამინ".

ბ) „ღმერთო შეიწყალე ხუცეს მონაზონი დავით... დავით გარესჯას აღვიზარდე, კბ. წელიწადი დავყავ; მერმე ლეკთა შემიპყრეს—ორი წელიწადი ტყვეთ ვიყავ, იმის მეტათ სოფელში არ წავსულვარ; ტყვეობას უკან ისევ უდაბნოს ყოფნა ვისურვე და ვიმყოფები. ქ-კ-ს უობ—1784 წ."

ერთის საკითხავის თავს აწერია:

გ) „საკითხავნი წმიდისა ახალ-კვირიაკისანი, თქმული იოვანე ბოლნელ ეპისკოპოსისა".

ეს იოანე ბოლნელ ეპისკოპოსი შესანიშნავი პირია საქართველოს საეკკლესიო ისტორიაში, როგორც ბერძულიდამ მთარგმნელი საეკკლესიო წიგნთა, მაგ., კურთხევანისა ერთად კვიპრიანე სამთავნელთან. სცხოვრებ. და მეფე ბაგრატ III დროს, 1008—1014 წ.

დ) „იოსე ქრისტე შეიწყალე გლახაკი სტეფანე".

ე) „იოსე ქრისტე აკურთხე შენ მიერითა კურთხევითა გოგაი".

ვ) «ბოცოის ძის ასული, მისი ქმარი იოვანე, შვილნი მათნი: გიორგი, გუშნა, დარისპან»...

ზ) „ქ. ცხოვრება: ჩვენი: ესრეთ: იყო: ვიყვენით: ჩვენ: კაკასისძისა სახლსა შინა: Ⴑ Ⴟ Ⴁ Ⴁ(?) ამირინდო: მისი მეუღლე ნე'ტარჯან: მოვიდა რისხვა ღვთისა დიდ საქართველოდამ და წაიკიდნეს მეფე და ათაბაგი, შეიბნეს; მოიწია რისხვა სამცხედ და გაუმარჯდა მეფესა; მოიწია რისხვა ღვთისა ჩემზედა; მუნ აღესრულა ქმარი იგი ჩემი კგ წლის და მე ვიყავ ით წლის, არა მედგა ვაჟი, არამედ სამნი ასულნი. სიყვარულით მისით და ქრისტეს ღვთის ჩემისათ დაუტევე სოფელი—მონოზონ ვიქმენ. ვინცა ამა წიგნსა მიემთხვიოთცა..."

წიგნი, სამცხე-საათაბაგოდამ არის გადმოტანილი, როგორც მკითხველი ჰხედავს. ამ წარწერებში მოხსენებულნი პირნი იქნება აღმოჩნდეს, ისტორიით ვინც არიან. ჩემის ფიქრით, აქ მოხსენებული ომი არის ალექსანდრე მეფისა (1413—1442 წ.) და ათაბაგის იოანეს შორის.

№ 19 „კლემაქსი" ტყავზედ.

ა) იხ. 591 გვ. „სახელითა ღვთისათა და მეოხებითა წმიდისა ღვთის მშობელისათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისათა და მეოხებითა წინამორბედისა და ნათლის-მცემელისა იოანესითა, წმიდათა მოციქულთა და შეწევნითა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონისათა მე ულირსი გლახაკი ჴრომანაელი მამაგლასი ჩემსა წინამძღურობასა ღირს ვიქმენ აღწერებად წმიდასა ამას და სულთა განმანათლებელსა „კლემაქსსა" ცხოვრებასა წმიდისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატისა; სადიდებელად და სალოცველად ღვთივ დაცულისა და ძლიერისა აფხაზთა და ქართველთა მეფისა ბაგრატისათვის და ძისა მათისა გეორგი კურაპალატისათვის, ადიდენ ღმერთმან; და სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთათვის და ყოველთა მამათა და ძმათა ჴრომანაელთათვის. დაიწერა კელითა სოლომონ დვალისათა სოხასტერსა შინა ჴრომანაისასა ანაწმიდას, მეფობასა დოკისასა, მას ჟამსა, ოდეს ბაგრატის ასული მართა სამეფოს იყო ქორონიკონსა სპე—1066 წ. და დავდევ ეკკლესიასა ჴრომანაისასა, საყდარსა წმიდათა მოციქულთასა. აწ ყოველნო წმიდანო მამანო და ძმანო! ვინცა ვინ აღმოიკითხვიდეთ წმიდასა ამას წიგნსა, ჩვენ წარსულთათვის ლოცვა ჰყავთ, ღმერთმან გარწმუნოს, რათა ვედრებითა თქვენითა ღმერთმან სასყიდელი შრომისა მოგჳაგოს და ვინცა ვინ ესე წიგნი რაჲცა მიზეზითა პარვითა, გინა თხოვითა, გინა მძლავრებითა ჰრომანაჲსა ეკკლესიასაგან გამოახუას, იყავნ იგი წყევასა და შეჩვენებასა ქვეშე. ამინ იყავნ".

„ღმერთო შეიწყალე გლახაკი სულითა ბასილი ცოდვილი".

ესე წარწერა აჰეშმარიტებს ქართლის ცხოვრებას: ბაგრატ VI ასული მართა იყო მეუღლე ვიზანტიის იმპერატორის მიხეილ VII დოკიოსისა—1066—1078 წ. იხ. ვახუშტ. ისტ. 328 გვ.

ბ) იხ. 663 გვ. „წმიდაო ნიკოლაოზ, მეოხ მეყავ წინაშე უფლისა! ლოცვა ჰყავთ გლახაკისა და ცოდვილისა ეფთვიმესთვის წმიდანო და სათნონო ქრისტესნო, აწ ვინ აღმოიკითხვიდეთ წმიდასა ამას წიგნსა, ლოცვა ჰყავთ წმიდისა მამისა იოვანესთვის და უსხეულოსა მიმსგავსებულისა ნეტარისა მამისა ეფთვიმესთვის, რომელმან გვითარგმნა წიგნი ესე და სხვა მრავალი წიგნები ბერძულისაგან ქართულად და განავრცელა და განანათლა ქართული ენაჲ. ქრისტე, ხრულ ჰყავ სრბაჲ მისი და წყალობა შენი მის ზედა". წიგნი არის 680 გვ. 42 გვ. ქაღალდზეა.

ბოლოს აწერია: „ქრისტე შეიწყალე უღირსი მონა შენი ზაალ".

«ქრისტე ადიდე სულით და ხორცით ღირსი მამა გელასი».

„ზედებაშვილი დემეტრე".

გელასი შესანიშნავი პირია მეფე ბაგრატ III დროს. იხ. ვახუშტ. ისტ. 140 გვ. ამ გელასიმ შემოსა ბერობა გიორგი მთაწმიდელს.

მღვ. პ. კარბელაშვილი

(შემდეგი იქნება)

# უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. იმპერატორ ფრანც-იოსებს უბრძანებია გრაფ ტააფესათვის ცალკე რესკრიპტით, გამოაცხადე შემდეგი ჩემი მანიფესტიო:

„ერნო ჩემნო,

დიდის მწუხარებით შეპყრობილი თავს ვიხრი მორჩილებით განგების მიუწდომელობის წინაშე და თქვენთან ერთად ვევედრები ყოვლად-შემძლებელსა, მომცეს ძალი, რათა მტკიცედ შევასრულო მოვალეობა ჩემი დღეს და კვლავაც იმედითა და სასოებით ვემსახურო საყოველთაო ბედნიერებისა და მშვიდობიანობის დამყარებასა. ჩემი ნუგეშია ამ განსაცდელში თქვენი სიყვარული, ერნო ჩემნო. ეგ სიყვარული თქვენ იმითი დამიმტკიცეთ, რომ ყოველ მხრიდამ სამძიმარი და გულ-მტკივნეულობით აღსავსე წერილები გამომიგზავნეთ. დიდად გმადლობთ ასეთის თანაგრძნობისათვის. ახლა ვხედავ, რომ სიყვარული ჩემს ოჯახსა და თქვენ შუა იზრდება და მატულობს მაშინ უფრო, როცა ქვეყანა დიდს განსაცდელშია ჩავარდნილი და გლოვის ზარი სდგას ყველგანა".

— იმპერატორი ფრანც-იოსები და იმპერატრიცა დიდის ამბით მიიღეს პეშტში. დახვდნენ მინისტრები, ტისას მოთავეობით, სამღვდელოება, დიდებულნი, წარმომადგენელნი ზედა და ქვედა პალატისანი, სტუდენტები და აუარებელი ხალხი. ყველა სიხარულით ეგებებოდა მეფე-დედოფალს, ხოლო ტისას-კი მაინც უძახდნენ: არ გვინდიხარ, გადი სამსახურიდამაო. ვენგრიელები ერთის მხრით ერთგულებას უმტკიცებენ იმპერატორს, ხოლო მეორეს მხრით თავისას ითხოვდნენ მაინც სამხედრო კანონ-პროექტის შესახებ. ამ მხრივ მათი სიმტკიცე სწორედ გასაოცარია. ის, რაც ავსტრიაში ვერ მოახერხა ოპოზიციამ, ლამის ვენგრიაში მოახერხონ. ამნობენ, მთავრობას გადაუწყვეტია დაუთმოს ვენგრიელებს და შესცვალოს მე-14 მუხლი მაინც კანონ-პროექტისა. მე-25 მუხლის შეცვლაზე-კი უარს არიან. ეს მუხლი შეეხება იმას, რომ ვენგრიის აფიცრობაში აფიცრობის ეგზამენი გერმანულს ენაზედ უნდა დაიჭირონ. ვენგრიელები-კი თხოულობენ, რომ ვენგრიელს აფიცერს ნება უნდა ჰქონდეს ვენგრიულს ენაზედ დაიჭიროს ეგზამენი აფიცრობისაო.

— გაზეთები მოგვითხრობენ, რომ პრინცი რუდოლფი დაჰპირებოდა მარი ვეჩერას, ჯვარს დაიწეროთ, და დაეწყო კიდეც განქორწინების საქმე, მაგრამ რაკი განქორწინება ვერ მოეხერხებინა, ეთქვა მარი ვეჩერასთვის მეიერლინგში, რომ სიკვდილის მეტი

ჩვენ ველარა გვიშველის-რაო. ამბობენ, რომ მარია ვეჩერას დედამაც იცოდა თავისის ქალისა და რუდოლფის მიჯნურობის ამბავიო. მიჯნურები ერთმანეთს ჰნახავდნენ ხოლმე ან პრატერის მიყრუებულს ხეივნებში, ან დახურულს ეტლშიო. ახალგაზდა ბარონესა ორსულადა ყოფილა. ფოსის გაზეთი ამბობს, რომ იმ უბედურების დღეს საქმე ასე ყოფილაო: დილით ბარონესა და გრაფინია ლარიში გასულან ეტლით ქალაქს ვითომ-და რაგინდარას საყიდლადა. როცა გრაფინია შესულა მაღაზიაში, ბარონესა გამოსულა ეტლის მეორე კარიდამ და ჩამჯდარა ბრატფიშის ფიაკრში, რომელიც იქვე ახლო თურმე უცდიდა. ამ ფიაკრით ბარონესა მეიერლინგს წასულა. გზაზე დაჰხვედრია რუდოლფიცა და ერთად მისულან მეიერლინგს. იქ მხიარულად გაუტარებიათ დრო ორშაბათსა და სამშაბათს გრაფ გოიოშთანა და ფილიპე კობურგელთან ერთად. ოთხშაბათს დილით ორივენი მკვდრები იპოვეს ლოგინზე საწოლზე იდო მკვდარი ბარონესა, ზედ საბანი ეხურა და საბანს ზემოდ კიდევ იდო უსულო რუდოლფიო.

## წვრილი ამბები

კარმენ სილვას (პსევდონიმია რუმინიის დედოფლისა) დაუწერია პირველი დრამატიული თხზულება, რომელსაც სახელად ჰქვიან „ბინდი“. ენ ერთმოქმედებიანი პიესა ამას წინად წარმოუდგენიათ ვეიმარში. აი რასა სწერენ ამ პიესაზე: „პოეტური სურათია და თუმცა დრამატიზმს მოკლებულია, მაგრამ დიდი მოქმედება აქვს მაყურებელზე, რადგან დიდის გრძნობით არის დაწერილიო“. პიესაში ორი როლია. გრაფის მეუღლე ოდელის თავისს ქმარს, რომელიც პალესტინაშია. იმის მაგივრად მოვა არაბეთის ქალი მეჯი. მეჯი მომკლელი ყოფილა ავადმყოფის გრაფისა და შეჰყვარებია. იგი გრაფის მიერ გამოგზავნილია ცოლთან სიკვდილის წინად ამბის მოსატანად. გრაფინია იჭვშია, ანჩხლობს და თან დარდობს საყვარელის ქმრის დაკარგვას, მაგრამ მეჯის წმინდა სიყვარული გულს უწყნარებს და უმშვიდებს.

— ამას წინად ბერლინში თავი ჩამოუხრჩვია ვენელს ჰუნტერგუბერს, რომელიც ერთის ყასბის ნოქარი ყოფილა. საბედნიეროდ, დროზედ შეუსწრიათ თავი და მოუბრუნებიათ. ამ თავის მოკვლის მიზეზი ისა ყოფილა, რომ დიდად შეწუხებულა ჰუნტერგუბერი ავსტრიის მემკვიდრე პრინცის რუდოლფის უდროოდ გარდაცვალებით.

— პარიჟის გამოჩენილს მხატვარს ციმს ამ დღეებში შემდეგი სასაცილო ამბავი დაჰმართებია. უნდა ვსთქვათ, რომ ციმი დიდი მოყვარულია ძველის-ძველ, საისტორიო ნივთებისა. ამ დღეებში ერთს ნაცნობთან უყიდნია ძველებური რაინდული ზუჩი. როცა სახლში დაბრუნებულა, ნაყიდის კარგად გასინჯვა მოუნდომებია და დაუხურავს. მიუტანია თუ არა თავთან, რაღაც ნაირად ზუჩი თავისდა თავად გაღებულა, ჩამოჰფახტვია თავზედ და დაკეტილა, ასე რომ მხატვრის თავი დაუპატიმრებია. მაშინვე ბიჭები დაუძახნია, ბევრსა ცდილან თითონაც და ისინიც, მაგრამ ვერა მოუხერხებიათ-რა. საბრალო მხატვარი ზეინკალთან გამოგზავრებულა ზუჩ-დახურული. რაღა თქმა უნდა, რომ საბრალო მოყვარულს ძველის ნივთებისას საერთო ყურადღება მიუქცევია გამვლელ-გამომვლელისა.

— ტოკიოელი კორრესპონდენტი ერთის ინგლისურის გაზეთისა შემდეგს საყურადღებო ცნობებსა სწერს იაპონიის ახალგაზდა მბრძანებელზედ: ამ ჟამად ის პონიის ტახტის მემკვიდრე, პრინცი გარუ, 9 წლისაა; ცოცხალი, ცქვიტი, ჭკვიანი და გონიერი ბიჭია, მაღიან ლამაზის შეხედულობისა. იგი აღიზრდება ევროპულად და მასწავლებლებიც ევროპელნი ჰყავს. როცა გაკვეთილებს მორჩება, სასაცილოდ ჩაცმულ სამხედრო ტანისამოსითა და პაწია ხმლით გადის საჯინიბოში, ცხენზედ ჯდება და დასეირნობს. შემდეგ ხმლის ხმარებასა სწავლობს, გიმნასტიკასა და სხ. ხანდახან გამოირბენს ხოლმე ქუჩაში, თავს მოუყრის ქუჩის ბიჭებს და ისე ეთამაშება, როგორც ტოლთა და სწორთა. წარჩინებულნი მოხუცებულნი, რასაკვირველია, უკმაყოფილონი არიან მემკვიდრე პრინცის ამგვარ საქციელით, მაგრამ იმათ ყურადღებას ვინ აქცევს. ხუთს წელიწადს შემდეგ პრინცი ევროპაში უნდა გაჰგზავნონ სწავლის დასამთავრებლად.

— გუსტავ მოზერსა და ოტტო გურანდატს დაუწერიათ პიესა ამ სათაურით: „პუშკინი“. ამ პიესის შინაარსად რუსეთის გამოჩენილ პოეტის ცხოვრება არის აღებული. პირველად ამ პიესას გერლიცში წარმოადგენენ.

— ლონდონის ერთს თეატრში (Iodrel-Theater) რკინის ფარდის მაგიერ, რომელიც ძალიან მძიმეა სახმარებლად, შემოუღიათ „ნიაგარის ფარდა“, ასე წოდებული გამომგონის მიერ. ამ ფარდაში წყალია დაგუბებული და 50 გზა აქვს გამოსასვლელი, თუ ვინიცობაა ცეცხლი გაჩნდა.

— პეტერბურგში, იქაურის გაზეთების სიტყვით, გამოჩენილა ვიღაც უმაწვილი კაცი, რომელიც მშვენიერს ჩინურს ტანისამოსში დაიარება. პირველში ეს კაცი ყველას ნამდვილი ჩინელი ეგონა, მაგრამ ბოლოს შეიტყვეს თურმე, რომ რუსიაო. ამ ახირებულს კაცს ისე მოსწონებია ჩინური ტანისამოსი, რომ სამინაოდაც იმასა ჰხმარობს და მშობლებს ამ მხრივ არ უგონებს. ამ კაცს განზრახვა აქვს თურმე, რომ, როცა ცოლს შეირთავს, იმასაც ჩინური ტანისამოსი ატარებინოს.

## დეპეშა

5 თებერვალი

ჩარჯუი. კარკიდგან და ბუხარიდგან ამბავი მოვიდა, რომ აბდურახმანხანი მაგარი-შერიფში იმყოფება, ხალხს არ ეჩვენება და სამხედროდ არ ემზადებაო. ავღანისტანიდგან ისევე მოაქვთ კარკში სამეურნეო ნაწარმოებნი და აგრეთვე ჩვენი საქონელიც გააქვსთ ავღანისტანშიო.

პარიჟი. მელინმა გამოაცხადა, რომ სამინისტროს ვერ შევადგენო, ამიტომ პრეზიდენტის კარნოს მდგომარეობა მეტად გაჭირებულია. სამინისტროს შედგენა იმიტომ გაჭირდა, რომ თითოეულს დასს უნდა უფლება ხელში ჩაიგდოს საყოველთაო არჩევანის დროისათვის. ამისდა მიუხედავად იმედი აქვსთ, რომ დღეს საღამოს, თუ ხვალ ამ განსაცდელს თავიდგან აიცილებენ. პოლიტიკური არსებობა პალატისა დასრულდა და დადგა არჩევანის დრო.

პარიჟი. ახალის სამინისტროს შედგენა იკისრა დეპუტატთა პალატის პრეზიდენტმა მელინმა.

რომი. დეპუტატთა პალატამ იმ უწესოების შესახებ, რომელიც რომში მოხდა, დიდ-ძალის ხმის უმეტესობით დაადგინა ნდობა გამოუცხადოს კრისპის.

იტალიელი გაზეთები იუწყებიან, რომ მეფე მილანს განზრახვა აქვს ცოლად შეირთოს კნეინა იპსილანტი, რომელსაც ათი მილიონი ფული აქვსო.

პეშტი. მანიფესტაციაში დიდ-ძალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ წესიერება არ დაურღვევიათ. პროცესიაში 70,000-მდე კაცი იყო. ზომიერის ოპოზიციის დასის დარბაზის წინ რამდენიმე სიტყვა იყო წარმოთქმული მთავრობის წინააღმდეგ. ამდენმა ხალხმა ქალაქი დროშებით გაიარა და თან იძახდა „გაუმარჯოს მეფეს და ტისსა არ გვინდაო!“ ხალხი გაჩერდა მეფის სასახლის წინ და იგრიალა: „მეფეს გაუმარჯოს!“ ყველამ ქუდი მოიხადა და დროშები ძირს დაუშვა. მანიფესტაციის შემდეგ ხალხი დაიშალა. უწესოება არა მომხდარა-რა. წესიერება დაიცვეს დეპუტატებმა და სტუდენტებმა.

6 თებერვალი

პარიჟი. სამინისტრო ჯერ კიდევ არ არის შედგენილი. რადიკალები უარს ამბობენ, ახალს სამინისტროში მონაწილეობას არ მივიღებთო. მელინმა გადასწყვიტა შეადგინოს სამინისტრო ზომიერ რესპუბლიკელთაგან. მელინი და პრეზიდენტი რესპუბლიკისა კარნო დიდად სთხოვენ ფრეისინეს, იკისრე გარეშე საქმეთა მინისტრობაო, მაგრამ ფრეისინეს ისევ სამხედრო მინისტრად უნდა დარჩენა. კარნოსა და მელინს-კი სამხედრო კაცივე უნდათ, როგორც ეტყობა, სახელდობრ გენერალი ბილიო.

რომი. აღენიდამ იწერებიან დეპეშით, რომ ყაზახებმა დაიწყეს ალაჩუყების შენება საღალოშიო. როგორც ამბობენ, იქაურ მკვიდრთა და ყაზახებს ხშირად მოსდით ჩხუბიო.

პეტერბურგის ბირჟა, 3 თებერ.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 47 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 150 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 269 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 251¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ „ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3½ „ |

ჯვარის მამის პურის ლავაში

| | |
|---|---|
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 „ |
| მე-3 — . . . | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 „ |
| „ 2 „ | 8 „ |
| სუკი . . . . | 16 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 „ |
| ღორის ხორცი . . . | 10 „ |
| „ 2 „ | 9 „ |

## განცხადებანი


ისყიდება

თესლეული

ე. იმმერისა

და იმისის

შვილის

სავაჭრო სახლში.

ამ სავაჭრო სახლიდგან ეზიდებიან თესლეულობას მათის იმპერატორებითის უმაღლესობის კარისათვისაც.

ადრესი: მოსკოვს, მიასნიცკი ქუჩაზედ, ობიდინის სახლში.

მსურველს გაეგზავნება დიდ-ძალ სურათებიანი კატალოგი თესლეულობისა: ბოსტნეულობისა, მინდვრისა, ვარდისა და ყვავილისა, თუ გამოჰგზავნის 35 კაპ. ფოსტის მარკებით.

(15—9)

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

მამიდა ასმათი

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად.

საუკეთესო ღონისძიებაა

!მთელის ქვეყნის მირაზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოებთან ოდესას.




ისყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.

(26—7)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ 20 |
| დავით ალმასიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | „ 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ 30 |

საპონი «საპოლი» ხარეცხისათვის უებრობისა. — სარეცხის გასარეცხად ცივს წყალში თითო ნაჭერი, ნახევარ ნაჭერი, ფხვნილი ს ერთი შეკვრა 30 კაპ. 15 კაპ. 20 კაპ.

პეწიანი ლაქი ა. ვენცელისა. — ქალისა და ყრმის ფეხთ საცმელისა, ცხენის იარალისა და სხვათათვის. თითო შუშა ჰღირს 50 კაპ.

ფხვნილი ბრილიანტინი რადებხისა ტრიესტში. — ყოველ გვარ ლითონთა საწმენდელად ერთის შეკვრის ½ ¼ ⅛ 30 15 8 კაპ.

მსოფლიო ცემენტი ადოლფ ბერისა. — ფარფორისა, მინისა, ხისა და სხვათა შესაწებებლად. შუშა ჰღირს 25 კაპ.

პეწიანი სახამებელი ადოლფ ბერისა. — ჩვეულებრივს სახამებელში შესარევად. ერთი შეკვრა ჰღირს 25 კაპ.

ისყიდება ყველა სავაჭრო და საწვრილმანო დუქნებში.

უმთავრესი საწყობი იმყოფება ალექსანდრე ვენცელისა, ს-პეტერბურგს, ყაზანის ქუჩ., 3; მოსკოვს, მაშკოვის ვიწრო ქუჩ., სახ. სოლდენიკოვებისა.

(3—3)

ს.-პეტერბურგის საზოგადოება ზღვევისა.

| | |
|---|---|
| ნაღდი ძირის ფული . . . . . | 2 400.000 მან. |
| სათარიგო თანხა . . . . . | 5.000.000 მან. |

საზოგადოების უმთავრესმა სააგენტომ, რომელიც ტფილისში იმყოფება, საზოგადოების გამგეობის ნება რთვით, დააწესა სააგენტოები ს.-პეტერბურგის ზღვევის საზოგადოებისანი გორში (აგენტი კ. ი. გაუსმანი) და გორჯომში (აგენტი ნ. ს. ჯომარდიძე). ეს აგენტები იღებენ დასაზღვევად როგორც ქონებას (საკუთრივ ცეცხლისაგან დაზღვევას), აგრეთვე თანხასა და შემოსავალსაც.

ბ-ნ აგენტებისაგან შეიძლება უსასყიდლოდ შეძენა წიგნებისა და ყველა სხვა ცნობათა ამ დაზღვევის შესახებთა.

უმთავრესი აგენტი ტფილისში ნ. გ. ოსროევი. (3—1)


Доз. ценз. Тифлисъ 6-го Февраля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე